



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჰაილანდის
ჯიოვანი ბიოტექნოლოგია

შიო მღვიმელი
(ქუჩუკიშვილი)
კრებული

შიო მღვიმელი (ქუჩუკიშვილი)
კრებული

რთველი

ენკენისთვე გაიწურა, გადაყვითლდა მთა და ველი; ღვინობისთვემ მოატანა, სოფლად გაჩნდა ყველგან რთველი. ფაციფუცობს, მიდის-მოდის ვენახისკენ კაცი, ქალი; წელს ბუნებამ იზღვაგულა, კარგი არის მოსავალი. ადე, სოსო, ადე, კოტე, შენ, შალიკო, რაღას ელი? რახანია გივის მზად აქვს პაწაწინა საკიდელი!განა ახლა ძილის დროა? ზარმაცია, ვისაც სძინავს: მტევნებს ვაზი ველარ იჭერს, ქარვასავით ყველა ბზინავს. რას უყურებთ ზარმაც შაქროს, გოგიას და შიოლასა: მათ თათარა როდი უყვართ, მაჭრით წავლენ იოლასა. და თუ გინდათ ზამთარშიაც ყელი ჩაიკოკლოზინოთ, კალათით და საკეც დანით ვაზებს უნდა მოუღებინოთ... ენკენისთვე გაილია, სოფლად გაჩნდა ყველგან რთველი, აჭრიალდა ურმის თვალი, ამუშავდა ყველას ხელი. ზეიმობს და მხიარულობს ყურძნით სავსე საწნახელი, აღიღინდა ტკბილის ჩქერით თაღარი და ქვევრის ყელი.

ვედრება

მოდი, მოდი, განთიადო, მოდი, მოუთმენლად გელი, მზეო, მალე ამობრწყინდი, მაღლიანო, რაღას ელი?! გუშინ ჩიტი ჩემს ფანჯრის წინ დაფრინავდა, სრიალებდა, ჭიკჭიკით და გალობითა სულ მე შემომტრიალებდა. ბოლოს მინას ფრთა დამიკრა სამჯერ მკვირცხლად ზედიზედა, მამცნო, მამცნო, რომ ამ დილით შორის გზიდან მომდის დედა. ვიცი მოაქვს საახალწლოდ ბევრი, ბევრი ტკბილეული,ნაზუქი და შოთი პური მთვარესავით მილეული, მაგრამ მე მათ რას დავეძებ, მშობელს ველი სულით, გულით, მინდა, მინდა დროზე დავტკბე მხოლოდ დედის სიყვარულით. გადავექდო როგორც ვაზი, ხვართქლასავით ზედ დავეწნა, განთიადო, თუ გწამს ღმერთი, ნუღარ გინდა მეტი ხვეწნა. გული ხტის და გული ჩქროლავს. აღარ მინდა დავიძინო, მზეო, მთელი ქვეყნის დედავ, ბევრი აღარ მალოდინო!..

1915 წ.

სიმღერა მეომრისა

I შხამად მომედოს პირზედა, ქვეყანამ გამათახსიროს ცა-დედამიწის ძირზედა. დავდიოდ-დავციალობდე მურჩამოსმული ცხვირზედა, თავს ლაფი გადამდიოდეს, უკუღმა ვიჯდე ვირზედა, თუ ძმის სიკეთე შემშურდეს, თუ ძმას შევხედო შურითა, თუ ძმაზე ძვირი ნათქვამი მტრისგან შევიგნო ყურითა. II ბრაზად გადმექცეს ამაგი ჩემი მშობელი დედისა, იობის დღეში ჩავვარდე, მომჩივნე გავხდე ბედისა, გული ქვად გადამივარდეს, საზიზღი გავხდე მე დისა, ნულარც შევჭამო ნათესი, მოხნული ხარის ქედისა, - თუ სახლში ჯდომა ვირჩიო, ხანჯალმა მოელვარემა, ნულარც მიმიღოს სამიწედ ჩემმა სამშობლო მხარემა, ნულარც სხვის მიწამ და წყალმა, ნულარც სხვის არემარემა, - თუ ტყვიას ზურგი ვაჩვენო გულის წილ ბრძოლის ველზედა; თუ ძმა გავსწირო ღალატით, - ხმალი შემაწყდეს წელზედა, თუ არ შევაკვდე გმირულად მამულისათვის მტერს ზედა, - ქალურს სიმუხთლეს, სიჯაბნეს, ყველა მატყობდეს ფერზედა; ბეჭედი უნამუსობის დამაჩნდეს სახე-წვერზედა, გავრბოდე შემინებული, როგორც იუდა სერზედა, წინ მთა მხვდებოდეს, მთის იქით კიდევ მთა სალიკლდიანი, ხმალს ვცემდე, აღარ მიჭრიდეს გააფთრებული, ფხიანი, დამჯაბნოს ბერმა ყმაწვილი დიაცურ ხუჭუჭთმიანი, - თუ არ ვარჩიო სიცოცხლეს სიკვდილი სახელიანი!

1892 წ.

პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ, მოჭიკჭიკე, მოალერსე; ნეტავი რა დაგიშავე, ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?! სიყვარულით, სიხარულით მთები, ზღვები გადმოვლესე, სანამ შენთან მოვიდოდი, ერთხელაც არ

დავიკვნესე. შორით თვალებს გიკოცნიდი, ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი, ვჭიკჭიკობდი, შეგამკობდი, სულ შენ შემოგტრფიალებდი. ცხრა-მთა გზიდან მომავალი, მოქანცული, მოღალული დაბლა-დაბლა ვეშვებოდი, შენ გეძებდა ჩემი გული. აი, მოველ, დაგინახე, გულში ია-ვარდი ვთესე, ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად, ხმები გავიუკეთესე. გეფიცები და-მშობასა, მხოლოდ ეხლა დავიკვნესე: არ გრცხვენია, უმიზეზოდ ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

1912 წ.

კურდღლის ჩვილი

შენ ბილიკო მშვენიერო, ჩამოსაცანცალეებელო, რად არ მითხარ: “ყურმახვილო, შენ არ დასაცალეებელო, გაუფრთხილდი, მუდამ ერთგზით ჩუმჩუმად ნუ იარები, თორემ გნახავს მონადირე, ტყვიას დაეზიარები”... ერთხელ დილით, როდესაც ცამ პირი მოიფარდიანა, დამაღონა, დამაფიქრა, გული დამიდარდიანა. ვთქვი: თუ ეს რა ამბავია, თითქოს ვიყავ მხიარული, გრძნობა რისთვის მეურჩება, ან სკუპ-სკუპით სიარული. არ წავიდე?! მაშ რა ვუყო ჩემს პაწია მაწოვარებს, გამომშრალი ძუძუებით დედა შვილს ვერ გაახარებს. ავდექი და გავემართე იმავე გზის ბილიკითა, ცანცალითა, ყუნცულითა, როგორც ბიჭი ჩილიკითა. ბილიკს ჩავცდი, ველის პირზე ავიარე, ჩავიარე, მივიხედე, მოვიხედე და კომბოსტოს მივეპარე. პირში ნერწყვი მომერია, კბილი გამოვაკრიალე, კაპი-კუპი ავუყენე, მაგრამ თავი ვაზარალე. იმ უღმერთო მონადირემ ჭამა აღარ დამაცალა, თოფი გაითვალისწორა, ტყვია გამოაბზურიალა. სწორედ თემოებში მეცა მეხისავით გრიალითა, იქვე გადავკოტრიალდი კვნესითა და წრიალითა. წინა ფეხნი მთელი მქონდა, წელმა ვეღარ აიტანა, გამოქანდა მონადირე და ხელები დამატანა. ზედ კისერზე გადამიგდო, გარდიგარდმო გადამხარა; მე შვილები დამიოხლა, თავისები გაახარა.

მერცხალი

I მტკვრის გაღმა, ერთ დიდ სოფელში გლეხკაცის დარბაზს ჭდეულსა, მერცხლების ბუდით სავსესა, მერცხლების ჭიკჭიკს ჩვეულსა, თურმე ლამაზი მერცხლები სიყრმითვე შემოსჩვეოდნენ, მრავალჯერ გაფრენილიყვნენ, მრავალჯერ ისევ სწვეოდნენ. ყველაზე მეტად გვირგვინში ისმოდა მათი ფრთხიალი, ალერსი, ტკბილი ჭიკჭიკი, აფრენ-ჩაფრენა, სრიალი... ერთ გაზაფხულზე მერცხლებმა ძალიან დაიგვიანეს; ბაღებს ეწყინათ, დაღონდნენ, დიდებმაც იეჭვიანეს: ვაჰ, თუ რამეზე გაჯავრდნენ, გაგვიწყრენ, გაგვებუტენო. ჩვენთან აღარ სურთ მოფრენა და ბუდეს სხვაგან იდგმენო!.. ამ დროს მერცხლები ერდოში ჩამოსრიალდნენ წყვილადა, დაიწყეს ფრენა გვირგვინში და აჭიკჭიკდნენ ტკბილადა. ოჯახში დიდი-პატარა აავსეს სიხარულითა... ბუდე კვლავ ჩადგეს, ჩაკვანწეს ტალახით, ჩალაბულითა. მალე დაჩეკეს ბარტყებიც, ასწავლეს ფრენა-ჭიკჭიკი და ველი აახმიანეს. როდესაც დედა-მერცხალი შვილებთან იჯდა ბუდეში, მამალი გარეთ დაჰქროდა მინდვრად, ხან ცისა ზღუდეში. სადაც ნახავდა მავნე მწერს, მეხივით დაეცემოდა, ზოგს თავად გადასანსლავდა, ზოგს სახლში ეზიდებოდა.

II სოფელში ერთ ბიჭს მეტსახელს ეძახდნენ “დაუდგრომელსა”, სულ გარეთ მოყიალესა, ონავარს დაუცხრომელსა. ამ მოუსვენარს სიცელქით სად რა არ ჩაუდენია:ჩიტების ჩამოუშლელი ბუდე არ გადარჩენია. რამდენჯერ უთხრა დედამა: შე ცელქო, გლახაზნიანო, ე მერცხლებს მაინც დაეხსენ, თორემ შენც დაგწყევლიანო! მაგრამ არ იქნა, სიცელქე არც ამათ დაუგვიანა: ქვა წამოუსვა ერთ ბარტყსა, ცალი ფრთა დაუზიანა. დაღონდა დედა-მერცხალი, გული მოუკვდა მამალსა, მინდვრად ეძებდნენ შვილისთვის საშველად ათას წამალსა. ხან ყვავილთ ცვარი მოჰკრიფეს, ცის ნამიც დაალევინეს, მაგრამ არ იქნა, საბრალოს ფრთა ვეღარ გააშლევინეს. დაკუტდა, დარჩა გვირგვინში, ვეღარ გავიდა გარეთა, ბუდეში დაფარფატებდა უხმოდ და მგლოვიარეთა. ჩუმად რომ იყო მერცხალი, ბაღებსაც გული სწყდებოდათ, ქვემოდან

უალერსებდნენ და მეტად ებრალებოდათ. მინდვრად დასდევდნენ კალიებს მიპარვით, მუხლზე ხოხვითა, იჭერდნენ, მერცხალს აწვდიდნენ ორკაპიანი ჯოხითა. არც და-ძმას ავიწყებოდათ მათი დედ-მამის შობილი, მოჰქონდათ ბუზი, პეპელა ნისკარტში გამოწყობილი. დედა წყალს ეზიდებოდა შვილისთვის მუდამ პირითა, მამაც გულს უხალისებდა ათასნაირი ხილითა. მაგრამ პაწია მერცხალი მაინც ჯავრითა კვდებოდა, მას თავისუფლად მინდორში გაფრენა ენატრებოდა. უნდოდა თავად ეშრომა, ეცხოვრა თავის ოფლითა, სურდა ყველაფრის შესწავლა, დატკობა წუთისოფლითა. III გავიდა მარიობისთვე, მთლად გადაყვითლდა მთა-ველი, აღარ ჩანს სათიბ-საცელი აღარსად ერთი მტკაველი. უნდა მიმართონ მერცხლებმა ახალ თბილ ქვეყნის მხარესა, გამოესალმონ დროებით აქაურ არემარესა. დაღონდა კუტი მერცხალი, მთელი ოჯახი, კრებული, უფრო კი მეტად დედ-მამა დაფრენდა გაოგნებული. ცა-ქვეყნის ანაბარადა, თან წასაყვანად ყველანი გარს შემოერთყნენ ჯარადა. მხრებში შეუსხდა დედ-მამა, ერდომდის ააწიალეს და რა ვერ შესძლო მან ფრენა, უკანვე დაატრიალეს. ჩამოსხდნენ ბუდის პირზედა დაღონებულის სახითა, დაუწყეს გამოთხოვება ტირილითა და ვახითა. დაჰკოცნეს, გამოესალმნენ, შემდეგ დამწკრივდნენ განზედა, გულამოსკვნილი ჭიკჭიკი დაიწყეს დაბალ ხმაზედა. უმღერდნენ ასე კარგა ხანს, ნუგეშსა სცემდნენ მრავალსა, შემდეგ აფრინდნენ, გაუდგნენ უხმოდ გზას, შორად სავალსა

IV ამ სურათს მთელი ოჯახი უმზერდა გაოცებული; ებრალებოდათ მერცხალი, ტირილით დაოსებული. საბრალოს მეტი სლოკინით გული მთლად ამოსჯდომოდა; ან კი რა ექნა უბედურს უმშობლოდ, უთვისტომოდა?! ვინ მოუვლიდა მას ისე, როგორც რომ დედა მშობელი, მისი სულისდგმა, სიცოცხლის შარბათით დამატკობელი. განა-კი დედა გულმკვდარი არა ფიქრობდა ამასა? მაგრამ სხვა თავის შვილები მარტო ვერ ანდო მამასა.

V დედას აუტყდნენ ბალები: დედილო, გენაცვლებითო, რამე ვუშველოთ მერცხალსა, თორემ ჯავრითა კვდებითო. იქ რომ ის არის

მარტოკა, ჩვენ აქ გულები გვწყდებაო, ამდენ ხანს ერთი ეულად ან კი როგორა დგებო. სმა-ჭამის გარდა ბეჩავსა, განა სხვა არა უნდა-რა?! დედას იამა შვილების ტკბილი ხვეწნა და მუდარა. ჩამოიყვანეს მერცხალი, ფრთა გაუსინჯეს, გაუხსნეს, ერთ კვირას დაბლა ამყოფეს, ბუდეში აღარ გაუშვეს. ყოველ დილ-დილით მოტეხილ ფრთას უსწორებდნენ ხელითა, უვლიდნენ, ეფერებოდნენ, საზრდოს აჭმევდნენ ხელითა. მოშინაურდა მერცხალი, გული კვლავ მისცა ლხენასა, ფრთა გაუსწორდა, გაშალა, აღარ უშლიდა ფრენასა. დაიწყო ტკბილად ჭიკჭიკი ხალისით, მხიარულადა, დაუძმობილდა ბაღებსა და მათ მიეცა სრულადა. სადილობისას სუფრაზე იმათთან ერთად ჯდებოდა, შეექცეოდა ნამცეცებს, არავის ერიდებოდა. მას აღარ გახსენებია საჭმელად ჭია, კალია; მთელი ზამთარი ამ ყოფნით გაათავა და გალია. VI ზამთრისგან შეწუხებულმა ცამ ლურჯად მოიკრიალა; მზე მიწას დაუახლოვდა და სითბო დაატრიალა. დამდნარა თოვლი, ყინული, ბუნებას გაუღიმია, ზვავს იბერტყავენ მხრებიდან, სადაც-კი მთების ქიმი. გაღვივდა მიწა, გაფუვდა, გაივსო ძალით, ღონითა, ველი ირთვება, იმკობა ვარდ-ყვავილების კონითა. შინ აღარ დგება მერცხალი, მისი პაწია გულ-მკერდი სიამოვნებით ფრთქიალებს. პეპელებს აღარ ასვენებს, ნავარდობს, დაფორიალებს, ხის კენწეროზე დაჯდება, ხან მზის სხივებში ცქრიალებს. დედ-მამას ელის წამისწამ, შორის გზით მომავალებსა, სულ სამხრეთისკენ დაფრინავს, აღარ ასვენებს თვალებსა.

VII გამოჩნდა გუნდი მერცხლების, ჭიკჭიკით მოიმღერიან, სალამს აძლევენ ნაცნობ ველს და მინდვრებს გადმოსცქერიან. რა ამბავი აქვთ, რა ყოფა, ნეტავ გაჩვენათ თვალითა! სოფელს მოედვნენ გარშემო, ჭყვიან მთელის ძალითა. აგერა ერდო, დარბაზიც, მათი გვირგვინი, ჭდეული, აქ დარჩენილი მერცხალიც, მთლად სიხარულად ქცეული, შემოეხვივნენ, დაჰკოცნეს, გადაეხვივნენ ფრთებითა, შემდეგ შუაგულ ავრაზე დამწკრივდნენ დალაგებითა. დაუწყეს რაღაც ამბავი მერცხალს თავიანთ ენითა; დაღონდა, გაშრა საბრალო, გული აევსო წყენითა. ფრთები დაუშვა, ჭიკჭიკი უცბად შეაწყდა ენაზე, დაეცა უხმოდ, უსულოდ

გულაღმა დაბლა კერაზე. არავინ იცის რა უთხრეს, სუყველა გაკვირვებულა, ეს კია - მისი დედ-მამა წელს აღარ დაბრუნებულა.

1898 წ.

ჩიტი მზეწვია

ბაღლებო, კარი გამიღეთ, თქვენი დედ-მამის ლხენასა ლამის გამგუდოს შიმშილმა, კლიტე დამადოს ენასა! ტყის ჩიტუნია გახლავართ, სახელად მქვია მზეწვია; რადგან წელს მთაში ზამთარი სხვა დროზე ადრე გვეწვია, რა ღონე ჰქონდა ჩვენს ოჯახს ძირს უნდა ჩამოეწია; ჩიტების მტერი მიმინო ზედ გზაზე წამოგვეწია. დედაჩემს კლანჭი დასტაცა, ცალი ფრთა გაჰკრა მამასა, ჩვენ ცალკე დაგვაწიოკა, ნისკარტი დაგვიალმასა. მაგრამ გაუსხლტით ბოროტსა, შევეფარენით თელასა და ისიც მშობლურ გრძნობითა გულში გვიკრავდა ყველასა. დიდხანს შიშისგან პაწიებს გულები გვიფანცქალებდა; მაგრამ რა, აქაც თრითინა თურმე არ გვითვალთვალეზდა?! ამოგვეპარა ნელ-ნელა, როგორც ეშმაკი, მელია, და-ძმას დამიჭრა ყელები, მე დავრჩი მარტოხელია. იმ დღიდან ობლად დავდივარ, მარტოდმარტოკა ეული; ვეძებ მეზობლის ტოლებსა არაქათგამოლეული. ვერც ნათესავი ვიპოვე, ვერც ბინა მამისეული; ზამთარიც ჯიბრში ჩამიდგა, აღარ ილევა წყეული! ბაღლებო, კარი გამიღეთ, თქვენი დედ-მამის ლხენასა, მეც ჩავერევი თქვენს ლხინში, როს ამოვიდგამ ენასა.

1901 წ.

მკაში

გასწი, ბიჭო, გაუტე, დღეს ნამგალი ფხიანდება, გამოუსვი ხელეურსა, თორემ დაგვიგვიანდება. მზემ სხივები გაასკეცა, ყანა ფიცხოზს, პრიალდება, შიგ ჩაიწვის მოსავალი, სარჩო გაგვიტიალდება... აბა, მომყევ,

გენაცვალე, არ დაზოგო მუხლის თავი, მაგრად შეჰკარ და შებოჭე სალენი და დასაფქვავი! გზა-გზა თავთავს ნუ დააბნევ, ბლომად დადგეს ეგებ ხვავი;შინაც გვეყოს, გარეთაცა და არ გავხდეთ საძრახავი. დაგელოცოს, ყანავ, მადლი, სულ არ გირევია ჭვავი, სიმძიმისგან მიწას ჰკოცნი, მტრისაც კი ხარ სანახავი! ბიჭო, ჩქარა, ხელეური, ბიჭო, ჩქარა სველი ულო, თორემ დადგა მეძნეური, შე ზარმაცო, შე ორგულო! ეგრე, ეგრე, მესვეურო, გასჭერ ყანა, გადაყელე, შემოსძახე “ჰოოჰუნა,” შენთან სხვებიც გაახელე. თავში გახვალ თუ ბოლოში, აიძართე, ჩახველე, შრომის ოფლი მოიწმინდე,ყელი ღვინით ჩაისველე. ჩამორჩენილს უთხარ მკვახედ: “ჩამოდექი, სიყრმემქრალო, დღეს შენ ღვინო არ გერგება, მარტო წყალი უნდა სცალო! გასწი, ბიჭო, გაუტე,თორემ ძალზე გვიანდება, თუ დროზე არ მივეშველეთ, ყანა ჩამარცვლიანდება!

1913 წ.

შავი მელა

საქათმეში შეეჩვია თურმე ერთი შავი მელა, დედლები და ყვინჩილები ჩუმად ზიდა ნელა-ნელა. არც ვარიებს იწუნებდა, ჭროლა იყო თუ ყელჭრელა, გამხდარი და ჩამწყერული ერთი იყო მისთვის ყველა. ვერ შეუტყვეს ვერაფერი, საქმე ისე გააძნელა, მაშინ გადაგა მელა განზე, როცა ტყავი გაისქელა. ყველა იმას იძახოდა: “დამლუპველი არის ძერა!”შინაურმაც, გარეულმაც მართლა აკი დაიჯერა! ძერას თოფი დაუმზადეს, კუჭკუჭებდა ცრუპენტელა: “ვისა ჰკლავენ სულელები, განა ისე ძალზე ბნელა?!” ულვაშები ჩაიკვნითა და ცბიერად ჩახველა... ძერა მოკლეს უბედური, დაუსჯელი დარჩა მელა...

1910 წ.

ოჯახის გამხარებელი

დაბრუნდნენ სასწავლებლიდან ბავშვები ჟივილ-ხივილით, ზოგი თოვლს მოაგუნდავებს, ზოგი გამორბის კივილით. სიცივისაგან ონავრებს ასწითლებიათ ყურები... მოვიდნენ, ავლეს სიცილით აივნის საფეხურები. მათ კუდისქნევით ბებერი წინ შეეგებათ თოლია, მიელაქუცა პატარებს, ტოლივით მიუქოლია. ბაღლებმაც მიუალერსეს, ცუგოც მათ ლოკდა ენითა, შემდეგ-კი კარებს მიმართეს ქაქანითა და ქშენითა. გამდელმა ცელქებს საჩქაროდ კარი გაუღო თუ არა, მოხუცს სახეზე ალერსის ღიმილმა გადაუარა. “უთუოდ ძლიერ მოშივდათ ჩემს პაწა ცუგრუმელებსა!” ზოგს პალტოს ართმევს ზოგს აბგას, და ზოგს უორთქლავს ხელებსა. რა გადაჰკოცნეს გადია, შევარდნენ კასკას-რბენითა, იატაკს გააქვს ზანზარი, სახლი ივსება ლხენითა. მისცვივდნენ ტახტზე მწოლარე ავადმყოფ დედას ცქვიტები და შემოუსხდნენ გარშემო როგორც პატარა გვრიტები. მამა-კი ცალკე ოთახში, დაღრეჯილ-დაღონებული, შუბლგაუხსნელი, ერთთავად სწერს რაღაც დაფიქრებული. აი დათიკომ ამაყად დედას უჩვენა რვეული და ეუბნება სისწრაფით, ღიმილად გადაქცეული: - აბა, დედილო, დახედე კარგად გასინჯე ესაო, მთლად შეუცდომლად დავწერე მე ორი გვერდი დღესაო. - მე კი დღეს, - უთხრა თამრომა, - სახატავ რვეულზედაო ნაძვებს და ბუჩქებს ვხატავდი სხვადასხვა ფერად, დედაო.

- აქ რასაც ჰხედავ, უყურებ, სულ ჩემი ნახატებია, და მასწავლებელს ამათში ერთიც არ უსწორებია. ავადმყოფს სახე ეშლება, მშობლისა გული ტკბილად სძგერს და მათ ტიტინში სნეული დედა ივიწყებს ყველაფერს. აგერა მამაც გამოდის, გარს ეხვევიან შვილები... - ანცებო, კარგად იცოდით დღეს ყველამ გაკვეთილები? რა პასუხს იღებს, ეხვევა, კოცნით იჯერებს მამაც გულს, და ეფანტება ნაღველი სახეზე დაღლილ-დაქანცულს. ამათ სიხარულს თითქოს მზეც ფანჯრიდან უღიმდებოდა და ბაღლებს ხუჭუჭ ქოჩორზე ოქროსფრად ეფინებოდა.

1891 წ.

ზამთარი და ნიბლია

I ერთხელ ზამთარს და ნიბლიას მოუხდათ შებმა ხნიერი; აქეთ იბრძოდა უძლური, იქით კი მეტად ძლიერი. ბოროტი, ავზნე, საწყალ ჩიტს კვალში ჩაუდგა მტრულადა, მაგრამ ნიბლიაც ცივ ზამთარს ებრძოდა ეშმაკურადა. რაკი თმათეთრი, ჭალარა სუსტთან ვერასა ხდებოდა, გულგასახეთქად ნიბლიას დაცინვით ეკითხებოდა: - მითხარ, სადღაა დღეს შენი სიმხიარულე გულისა; ან ბუდე სადმე ჩადგმული ძუის თუ ჩალაბულისა, ან ნათესები, მრავალი სიუხვე მინდორ-ველისა, ისე რომ ძაან გიყვარდა ჩარაკრაკება ყელისა?! სად გყვანან ამხანაგები, რომ დღეს აღარსად მღერიან, ადაკარგულან შორს, სადღაც და შიშით შემომცქერიან! - ტყვილა მაშინებ, ზამთარო, რიხიან ბაქიბუქითა; ვერას დამაკლებ, ვიდრე მზე დამყურებს თბილი შუქითა. სულ არ გამქრალა ჯერ ჩემში სიმღერა, მხიარულება, ჩემი ტოლ-ამხანაგების არ მჯერა მოუძღვრება. სძინავთ და გაიღვიძებენ მათი სიმებიც გულისა, საქებად, სადიდებელად ლამაზი გაზაფხულისა! გაზაფხულდება, მშვენივრად შემოსავს მთა-ველთ ზღუდესა, და მეც ჩავკვანწავ ხელახლა კობტად სულ ახალ ბუდესა! ყვავილნიც გაიშლებიან ათასფრად მრავალ მხარესა, ტკბილ სურნელებას მოჰფენენ ველ-მინდვრის არემარესა! კვლავ გადიბანენ ნაზად პირს ია და ვარდი ნამითა, და კვლავ შაშვები ტყის პირად მაყრულს ჩაჰკრავენ ღამითა! - რა ბავშვურადა ლიკლიკებ, ვაი, საწყალო ნიბლია; ბევრ შენისთანა ჩიტისთვის ყინულზე თავი მიგლია! ტყუილი არის, არ ესმის გაზაფხულს შენი მუდარა! ხვალ ჩემი თოვლი გახდება შენი კუბო და სუდარა! უთხრა ჩიტსა და გაშორდა, სადღაც გასწია, წავიდა, და თითქოს იმ დღეს მზეც ადრე მთებს მოეფარა, ჩავიდა. II ოდნავ მოფიფქა მიდამო ზამთარმა თოვლის ფქვილითა, შემდეგ ცა მოაკაშკაშა და მოუყინა დილითა. მზიურ აბრძანდა ზამთარი, გაჰხედა მინდორ-ველებსა, თეთრად გაჰქონდათ ლაპლაპი მაღლა მთებს, დაბლა სერებსა. მრავალი

ჩიტი ეყარა მთლად გაყინული ველადა, მხოლოდ ნიბლიას მაგვარი ერთიც არ ჩანდა სრელადა. ბინდისას შეხვდა ზამთარი ნიბლიას ცოცხალს კვალადა. - სად იყავ წუხელ, ნიბლიავ? - ჰკითხა შუბლშეკვრით, მწყრალადა. - წუხელის დედაკაცები მთელ ღამეს რეცხდნენ სარეცხსა, და მეც შევძვერ და შევედი, სიდანაც ღვრიდნენ ნარეცხსა. მივიმალ-მივიკუნჭევი მათ შორის ცეცხლაპირასა, ავდექ და გამოვსრიალდი, კარს რომ აღებდნენ დილასა. - მაშ კარგი, ამადამისთვის ვედარსად დამემალეები! მართლაც, იმ ღამეს ზამთარმა მოუშვა სუსხის ბრჭყალები, მიჰყინ-მოჰყინა მინდვრები, გაჰკვერა, გააკრიალა; ისე გახადა სოფელი, როგორც ბურთი და ბზრიალა. და საწყალ დედაკაცების ქვაბები სულ მთლად მიჰყინა, მაგრამ ნიბლიამ იმ ღამეს აღარ დაიდო იქ ბინა. - როგორ გადარჩი? - ზამთარმა

ჰკითხა მეორე დილასა. - იქნებ გეგონა წუხელის ვერ ვიშოვიდი ბინასა! შენ რომ ყინვასთან იხეთქდი თავს ჩემი ბინის სწავლაში, მე იმ დროს ტკბილად მეძინა ცხენებთან ერთად თავლაში! - ცხენებთან?! ერთი უყურეთ! ახლა ვუჩვენებ სეირსა! იმათთან ერთად, იცოდე, არც შენ დაგაყრი ხეირსა! III იმ ღამეს უფრო მოყინა, მოაჭახჭახა სერები, მინდვრად დაყინა ფრინველები, თავლა-ბოსელში ცხენები. დილით კი ჩვენი ნიბლია, დახტოდა, დანავარდობდა, დაჭიკჭიკობდა, გალობდა აღარაფერზე დარდობდა. - როგორ! კიდევაც დამცინი, შე წუწკო, მოუსვენარო? მითხარ, სად ეგდე წუხელის სიცოცხლე მოუღბენარო? - შენ რომ თავლაში ჰყინავდი, ბრაზობდი, ბობოქარობდი, - ჩახუტულ დედა-შვილ-შუა მე თბილ ლოგინში ვხარობდი. ისეთი მხურვალე იყო მათი ალერსი, ტრფიალი, რომ შენი ყინვა და თოვლი და ქარის მწარე გრიალი ვერას მიზამდნენ, ზამთარო, მე დედა-შვილთან სრულადა; ვერც შემდეგ რამეს დამაკლებ, რაგინდ მომექცე მტრულადა! მალე აიკრავ ნაზადსა, ნაბიჯს დაარტყამ მგლურადა! ზამთარი ბრაზით კვდებოდა და იცლებოდა გულადა... ნიბლიას მაინც ზამთარი ვერ უხერხებდა ვერასა; ფრთოსანი ყოველ დილ-დილით მორთავდა ხოლმე მღერასა: - გაზაფხულდება, საყანე ნათესნი გაიშლებიან, სული გასძვრება ზამთარსა,

ყინულნი ჩამოდნებიან! ბუდეს ავაგებ ლამაზად, დავჩეკავ, დავზრდი შვილებსა; დასასვენებლად გავიხდი ბალ-ვენახების ჩრდილებსა! მოფრინდებიან თბილ ქვეყნით ტოლ-ამხანაგნი, სწორები, გაივსებიან ფრინველებით ტყე-ჭალა, მინდორ-გორები! საერთო ფერხულს დავაბამთ ჩავუხმატკბილებთ არესა, ქებათა-ქებას შევასხამთ ყოველ კუთხეს და მხარესა! შევძახებთ: “ვაშა გაზაფხულს, მზეს მუდამ სათაყვანებსა, მინდვრად დაბნეულ თესლეულს, გულუხვად მოსულ ყანებსა!”

1897 წ.

ჩემი დედოფალა

მე მყავს ციცნა დედოფალა, სულ პაწია, პაწაწკუნა, აგერ მიმაქვს მასთან ჩაი, ვეჭობ, თუ არ დამიწუნა. არ გეგონოთ გენაცვალეთ, რომა მყავდეს ავზნიანი, რა ვქნა, უყვარს კუკნას ჩაი ხან ურძეო, ხან რძიანი. თუ რომ სუფთად არ ჩავაცვი, არ მისვენებს სული, გული, ახლაც უნდა დავურეცხო ჩემს კოპწიას თეთრეული. გავწურო და საჩქაროზე გაბმულ თოკზე გადავფინო, სარეცხს ცუგო მოუყენო და მე სახლში შევირბინო. რომ შევუდგე საჭმლის ხარშვას, როგორც კარგი მზარეული; მომიშივდეს, რას იფიქრებს შინაური, გარეული?! სადილს მოვრჩი. ახლა უნდა ვასეირნო გრილო-გრილო; სადაც ჩერო დაილევა, სამზეურით მოვუჩრდილო. სადამოზე ისევ ჩაით ყელი ჩაუკოკლოზინო; გავხადო და ტკბილის ნანით სარეცელში ჩავაწვინო. თქვენ გგონიათ, ამით მოვრჩი? არ მოგიკვდეთ ჩემი თავი! ახლა უნდა ლამპის შუქზე ვკერო მისი საკერავი. დაფლეთილს ხომ არ ვატარებ, არც მოხდება, არც იქნება! ერთი სიტყვით, დღე და ღამე სულ არა მაქვს მოსვენება!

1903 წ.

მუხა

გულთამხილაო! ჩვენ ცოტანი ვართ, შენც კარგა უწყი, იცის სხვამაცა; რომ წავიქეციტ, მუმლი და ქინქლა სწორედ ამ ფიქრმა გაამამაცა. ეგონათ ძალა აღარა ჰქონდა, რაკი დავეციტ, ჩვენს აღმზრდელ ფესვებს, და ყველა ერთად ზედ დაგვესია, როგორც სჩვევია ლაჩართა წესებს. მაგრამ ძველ მუხის გამდგარ ძირ-ფესვებს ცის გუმბათისკენ ეპყრათ თვალები, ცვარ-ნამით მიწა რომ ფუვდებოდა, იქ ღვივდებოდნენ ჩვენი ძალები. და, აჰა, ძირზე კვლავ ავიფეთქეთ, დავისხით ხშირი ფოთოლ-რკოები, კვლავ დავაპურეთ ჩვენი ნაყოფით როგორც ღორები, ისე ხბოები. ყველა ესენი სურვილ-ნებაზე როდესაც კარგად გამოძლებიან, სანამდის კიდევ მოშივდებოდეთ, აგრილებამდის ჩვენ ქვეშ წვებიან. ვინ უშლის ამათ სიამოვნებას. თუ არ თვალით ბრმა და ენამრუდი; ღორებთ დინგები მიწისკენ მიაქვთ და არ იციან, რომ გვხურავს ქუდი! მაღლა ახედვის შნოც დაუკარგავთ, მაღლის მაგიერ იბღვირებიან, რკოთი გაძლომას არა კმარობენ და ფესვებისკენ გვეტანებიან. და ჩვენ კი გვინდა გრძელი სიცოცხლე მზიურ ცათქვეშე, მზიურ მიწაზე, და ვიდრე ერთი ვარსკვლავი ბჟუტავს ჩვენი ბედისა მოწმენდილ ცაზე, - ჩვენი წახდენა აღარ იქნება, გამოიფშვნიტონ კარგად ყურები... დაჰქროლე მედგრად, ძლიერო ქარო, შორს ჩვენგან ჩვენი უმადურები!

გაზაფხული

მარტი გავიდა, გათბა დღე, დარები დადგა მზიანი; მიწა გაფუვდა, ბუჩქებში ამოჩენილან იანი. მოფრინდა გვრიტი, შოშია, ოფოფი სავარცხლიანი; მწვანედ ბიბინებს მინდორი, ოლე და ველი ცვრიანი. ჭუკჭუკებს დილა-საღამოს ახლადმოსული მწყერია, თავს ძლივს იმაღლავს ჯეჯილში ჭია-ლუების მტერია. დილა აღრიან მერცხალმაც გამოაღვიდა სოფელი,

- გაზაფხულდაო! - დაგვძახის პირველი მახარობელი. შინ მოჩვეული კურდღლებიც გამოფენილან ველადა, დარბიან ცვარით დანამულ

ბალახის გასაქელადა. ზოგი ხტის, ზოგი ყურს აცქვეტს, ზოგი ძირს დანაბულია. იქვე მჯდომარე პატარას სიამით უცემს გულია. მინდვრად გავიდეთ, ბიჭებო, დროა დავიფრთხოთ ძილია, სუნს მოგვფენს, ყნოსვას დაგვიტკბობს ია მკერდგადაშლილია! დროა, ჩვენც მამაპაპურად ხელი მოვკიდოთ შრომასა, - მინდვრად სჯობია მხნეობა

სახლში უსაქმოდ ჯდომასა!

1890 წ.

ნატვრა

ნეტამც არ დაღამდებოდეს, ისევ დღე იდგეს მზიანი, თუ მობრუნდება სიბნელე - დახვდეს მარცხი და ზიანი; წინ წყალი, უკან მეწყერი, თვალჩაუწვდენი გზიანი, აღარ ეღირსოს ამოსვლა არც ჩქარი, არცა გვიანი. უფსკრულს ჩამზერდნენ დედანი, კრულვას უთვლიდნენ წყეულსა, ძირ-ფესვიანად მოსპობილს, ერთის მოქნევით ძლეულსა, ხელს აღარავინ აწვდიდეს ძალღონეგამოლეულსა, ღვარძლის და ბოროტობის თესლს, სისხლის სმისაგან სნეულსა. ვინც მიშველება გაბედოს, - საჭე გაუტყდეს ნავზედა, ელვამ დასთხაროს თვალეზი, ძარღვი დააწყდეს მკლავზედა, ცოცხალს ფლეთავდეს არწივი, ძვლებს ასაღებდეს სვავზედა, სისხლიან ნისკარტს იწმენდდნენ წასმა-წამოსმით ზვავზედა...

ია

ველში ია ამოვიდა მიიხედა, მოიხედა, მწყურიაო! - ჩუმადა თქვა, დამახება ვერ გაბედა. ზღვის ორთქლი და ოხშივარი, რაც ცას დღისით აეწურა, ცვარ-ნამებად გარდაქმნილი იას გულზე დაეპკურა. გაზაფხულის კობტა ყვავილს გულს სიამე მოეფინა, ველს სალამი მისთავაზა და მადლობით ცას შესცინა. კოპწიას და ჩანასკულსა, ლურჯქათიბა-კაბიანსა მთაც ნაკადულს უგზავნიდა ცივწინწკლება ქაფიანსა. და უთვლიდა გამარჯვებას, ცხონდა თქვენი მშობელიო, აქ ეს არის, მანდ შენა ხარ გაზაფხულის მთხრობელიო... ველში ია

ცქრიალებდა, კლდეზე წყარო ჩქრიალებდა, მთა და ბარში გაზაფხულის
უხვი მაღლი ტრიალებდა...

1905 წ.

ბიჭო ნუ იჭერ პეპელას

ბიჭო, ნუ იჭერ პეპელას, ფრთამალალია, ბრალია, კოპწია ყვავილებისა და
მინდვრის ტურფა ქალია. სუყველას, დიდს და პატარას უმზერის
თანაგრძნობითა. დაეხსენ, თორემ ყველანი მოგიგონებენ გმობითა.
ობლად რომ ხედავ ყვავილსა, ე, მინდვრის განაპირასა. სულ მუდამ ღამე
პეპელა იძინებს იმის ძირასა. დილაადრიან ადგება, მიესალმება
ტკბილადა და მერე ფოთლებს უკოცნის მოწიწებით და ფრთხილადა.
სხვა ყვავილებსაც ნახულობს, უვლის მთელს არემარესა, არ ეკარება
ეკალსა, შხამიანსა და მწარესა. სადამოს ობოლ ყვავილთან მოდის კვლავ
დასაწოლადა, შენ რომ მოუკლა, საბრალოს ვიდა მიუვა ტოლადა?!

1911 წ.

სალამი ყვავილებს

გაუმარჯოთ ყვავილებს მრავალ-სახე ფერებსა. კოპწიებს და ლამაზებს,
ცვარ-ნამების მცველებსა. ვინც ყვავილებს წაატანს ცუდ-უბრალოდ
ხელებსა, საშინლად ეწყინებათ მინდვრებსა და ველებსა. ყვავილების
მშობელი დედამიწის გულია; მინდორი მაშინ ხარობს, როცა
მოქარგულია. ძაან მოსწონთ ველებსაც ჩაცმა კაბა ჭრელისა, მოღერება
ლამაზად შემკობილი ყელისა. მაშ სალამი ყვავილებს ათას-სახე
ფერებსა, ველ-მინდვრების დედოფლებს, მარგალიტთა მცველებსა. ვინც
ყვავილებს წაატანს წარამარად ხელებსა, ეწყინებათ იცოდეთ, მინდვრებსა
და ველებსა

ნაბია და წკიპა

ჰეი, ბიჭო, ბიჭო, წკიპა! გახსოვს, ბებომ რომ გაგწკიპა? ვაშლის ქურდი დედის კალთას ამოეკარ როგორც ტკიპა. - შენ ნაბიავ, მერე მაგას ვინა მალავს, ვინა ჩქმალავს! თუ აგრეა, შენ კი ჩემზე ცოტა რამე მოგიპარავს?! - აბა, როდის? - აი გუშინ, თუნდა ვკითხოთ ეგე ჯიბოს, შერცხვენილი ის გამოდგეს, ტყუილები ვინც ჩაჯიბოს! - რაო, რაო?! რადა ცრუობ, შე ბაბრიავ, შე ნაგაზა! ფელამუშის კოვზი ცხვირში მაშ, დედამ ვის უთავაზა? - წიტებს ვლოკდი. - ჰოდა რადგან, ველარაფრით დაგიოკა, მსუნაგსა და ავმუცელას ციცხვიც მიტომ გაგალოკა. - ბიჭო, მერე განა ამას შენ ეძახი ქურდობასა?! შე მუდრეგო, აღარ გახსოვს, საწნახელში ყურძნობასა, ტკბილის ნაცვლად ჩაფუნნიდან ვინა ყლაპა ჩუმად დურდო? ვინ გათათხეს? მე თუ წკიპა? ავყიავ და მართლა ქურდო! - აბა როდის? აბა როდის? მტყუანს მოსტყდეს მართლა ენა, ცილს რომ მწამებ უნამუსოდ, ესეც შენა, ესეც შენა! ორ პაწია მებრძოლს შორის დატრიალდა ჩხუბის ჯარა, ტკბილ ღიმილით გაშველება ისევე ბებომ დააჩქარა; აიწია კაბის კალთა, ხელი ჯიბეს გაისწორა, ამოიღო წყვილი ვაშლი და ცალ-ცალკე გაუგორა.

1916 წ.

გაზაფხულდა

ზამთარმა ჭირი მოგვქამა, ფერი სცემს გაზაფხულისა, ენძელა ამოჩენილა, შენი გულისა, სულისა! სხვა ყვავილებიც მოდიან, ლამაზნი მოსაწონები; წავალ და ყველას ფოთლებზე სათუთად დავეკონები! ჩემო პატარა გოგიავ, აბა, ჩაიცვი ქალმები, მინდვრის ყვავილებს, გენაცვა, შენ კი არ მიესალმები?! შენც ხომ იმათი დარი ხარ, წმინდა, უმანკო გულითა; იმათთან ერთად დავტკბები კვლავ შენი სიყვარულითა! თქვენ შემოგვევლეთ თავზედა, ტურფანო, დაქარგულებო; წყარონო ჩემი

სიცოცხლის, პირველო გაზაფხულებო! ენაჟღურტულა მერცხალო, მალე მოფრინდი შენაცა, რომ შენ ჭიკჭიკთან პაწიამ ფეხიც აიდგას, ენაცა.

ობოლი

მარტოდმარტოა ობოლი, ზის და ქვითინებს მწარედა, მამა შინ არ ჰყავს საწყალსა, დაც გამოსულა გარეთა. გული ელევა საბრალოს დისა და მამის ლოდინში, ვერც კარი ჩაუკეტია, ვერც ჩაწოლილა ლოგინში. დედა-კი სხვაგან ჰგონია: შორს, სადღაც, სალოცავადა, ვერ მიხვედრილა, თუ მამას რისთვის აცვია შავადა. ღამეა. ქარი გრიალებს, ფინია ჰყეფავს კარებზე, შინ-კი პატარას შიშისგან ცრემლი ჩამოსდის თვალებზე. რა დაიღლება ტირილით და ჯდომა მოეწყინება, კერის წინ ფარატინებზე მიწვება, მიეძინება. დედასა ჰხედავს სიზმარში, ღიმილი მოსდის პირზედა, კაბის ღილს უხსნის, ძუძუზე ჰკოცნის და ეკვრის ჟინზედა. რაკი დასტკბება ალერსით და მშობელ დედის ყურებით, კალთაში საყვედურებით: - სად დამემალე, სად წახველ, ვისთან იყავი, დედაო? სამი ღამეა მშიერი ვიძინებ ზედიზედაო. ყურს არვინ მიგდებს, ცარიელ კუჭს ძლივას ვიძღობ პურიტო, რასაც ვჭამ, ისიც სავსეა ნაცარიტა და მურიტო. ნუღარსად წახვალ, დედილო, შენს ძუძუს ვენაცვალო! თუ კიდევ სადმე წახვიდე, მეც შენთან წამიყვანეო... იძინე, ჩემო პატარავ, იძინე ტკბილის ძილიტა; წყნარად, გულდამშვიდებულსა გაგელვიძება დილიტა. ცხადლივ ვერ ნახავ დედასა, ვერ ჩაეკვრები უბეში, გული კვლავ აგიტირდება, მაგრამ ხალხია ნუგეში.

1891 წ.

ოქროს თავთავი

I მზე ახლად ამოსულიყო ნიავი ჰქროდა დილისა; ყველანი წარმოდგარიყვნენ, დრო აღარ იყო ძილისა. პატარა ბიჭიც ყანაში, წელზე

თოკშემოვლებული, თავჩალუნული თავთავებს ჰკრეფდა ხელგამალებული. თუმცა მკას მორჩენილიყვნენ, ყანა შეეკრათ ძნებადა, მაინც თავთავი აქა-იქ ეყარა ასაკრეფადა. კარგა ხნის იყო მოსული ჩვენი პატარა მშრომელი, ჰკრეფდა და ჰკრეფდა თავთავებს ერთთავად დაუცხრომელი. მაგრამ ჯერ არა ჰქონდა რა... მზე გორის პირად წვებოდა, დღე ღამედ უნდა ცვლილიყო, ცა ბინდით იბურებოდა. - უჰ! რამოდენა ვეწვალე, დადგა კი მუჭის ტელაო; ნეტამც კი ოქროს თავთავად გადააქცია ყველაო! - ეს თქვა თუ არა, მიწაზე ხორბალმა გაიბზრიალა, გადიხსნა, შუაგულიდან გამოძვრა გოგო ცქრიალა. ყაყაჩოს ტანისამოსი ტანს ალისფერად ებურა, გვირილის წამოსასხამზე რეჰანის ქუდი ეხურა. პაწია იყო გოგონა, ცეცხლის თვალეზად ქცეული, მოწყვეტილ ვარსკვლავსა ჰგავდა ის დასაქცევი, წყეული. - მე პურის ანგელოზი ვარ, - უთხრა ბავშვს მხიარულადა, - რასაცა ფიქრობ, ყველა ის აგიცხადდება სრულადა, - თუ საღამომდის იქნები კეთილი, ალერსიანი, გულში შურშეუშვებელი, წყნარი და თავაზიანი; უფროთხილდი, ცუდმა ფიქრებმა თავში არ გაგირბინოსო, არც ავმა საქმემ დაგძლიოს, არც სხვა რამ შეგაცდინოსო! - ეს თქვა და გაქრა უეცრად, თითქოს შესხმოდეს ფრთებია; ბავშვი გაოცდა, მადლობის თქმა არც კი გახსენებია: მართლა რომ ოქროს თავთავად გადაიქცეს ჩემი ყანაო, რა ბედნიერი ვიქნები ყველგან და ყველასთანაო?! II თავთავს დაუწყო კვლავ კრეფა, თან ტკბილის ფიქრით ტკბებოდა, აკრიფა მან რამდენიმე და, რადგან გვიანდებოდა, მოკურცხლა სწრაფად შინისკენ კუნტრუმ-კუნტრუმით, რბენითა, მიუახლოვდა სოფელსა სახეზე ოფლის დენითა. სოფლის ბოლოზე უეცრად მოესმა პაწა გოგოს ხმა, ცხვრებს მიირეკდა შინისკენ, მაგრამ უჭირდა წამოსხმა: ერთს რომ წინ გამოიგდებდა, მეორე უკან რჩებოდა, მთლად ოფლის ხვითქში ცურავდა და მაინც ვერას ხდებოდა. - აბა, რად დაიგვიანა, ახია მაგაზედაო! ვინ იცის, მაგის ლოდინში შინ ჯავრით კვდება დედაო, და ეგ კი ისევ აქ არის ბნელაში, ასე გვიანო! თუ გინდა, თქვენებს ხმას მივცემ და მოგეშველებიანო? მე რომ არ მეჩქარებოდეს, თავადაც გიშველიდიო; შინ კიდევ დედა მიმელის და

ბარგიცა მაქვს დიდიო! - უთხრა და გამოაშურა, გზას გამოუდგა ჩქარადა; მოვიდა სახლში, ძვირფასი ძნა გადმოიღო წყნარადა. მაგრამ სიფრთხილე პატარას ვერ გამოადგა ვერადა: როგორც იყო ძნა მინდვრად, დარჩა იმ ნამჯა-ღერადა. - ჩანს, ანგელოზმა ტყუილად დამითათბირა მე გული... თქვა ეს და მიწვა ლოგინზე საძილედ, დაღონებული.

IIIმეორე დილას ყანაში წავიდა ისევ პატარა; კრეფის დროს რაღაც ხმაური მის ყურს მოესმა წყნარ-წყნარა. თავი მოიღო, ანგელოზს შეხვდა მდგომარეს ზეზედა; ის უფრო ლამაზი იყო და ტურფა წინა დღეზედა, - შენ, ანგელოზო, გუშინ მე ნეტა რად მომატყუეო? თავთავი ოქროდ არ მექცა, იმედი გამიცრუეო! - ღიმილით უთხრა, მაგრამ მას სულაც არ ეხუმრებოდა, გამწყრალი თვალით შეხვდა და მკაცრად ეუბნებოდა: - გახსოვს, შენ გუშინ პატარა ქალი რომ შეგხვდა გზაზედა? აბა მითხარი, შენ გულში რა გაიფიქრე მასზედა? ხომ დაინახე, ცხვრის ფარას რა ტანჯვით ერეკებოდა, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდა და ძალზე უღამდებოდა. შეგეძლო მიჰშველებოდი და კი არ დაეხმარეო, პირიქით, კიდევ გაჰკიცხე და სახლში გაეჩქარეო! ბავშვი გაწითლდა, სირცხვილით ლოყები უკვერდებოდა, რომ შეხვდა მწყემს ქალს გულცივად, - მას მართლა ეუბნებოდა. - მე კიდევ ერთხელ გამოგცდი, მხოლოდ იმავე პირობით...სთქვა ეს და გაქრა, არ ჩანდა იმ არეს ძირის-ძირობით.

IV პატარა ბიჭი ხალისით შეუდგა მუშაობასა: შეჰკრა ძნა, გამოაშურა სახლში სადამოხნობასა. ჯერ ადრე იყო, ბინდამდის კაი დრო-ჟამი რჩებოდა, შეეძლო პატივი ეცა, თუ ვინმე შემოხვდებოდა. მაგრამ კი გზაში არავინ მიმავალ-მომავალობდა. მხოლოდ ღობეზე პაწია ჩიტო იჯდა და გალობდა. მოუსვენარმა კენჭს ხელი დაავლო, გაუბზრიალა; ჩიტს არა დამართნია-რა ჭყვილით დაიფრთხიალა. და გადაფრინდა სხვა მხარეს საბრალო, შეშინებული... ცელქიც კვლავ გზასა დაადგა, მიდის შინ გაჩქარებული; მივიდა ნარბენ-ნაცელქი, ღონე-ქანც გამოლეული. ძნა ჩამოიხსნა სიფრთხილით, ეგონა ოქროდ ქცეული... მაგრამ ძნა ისევ ის იყო, რაც აეკრიფა დილითა, - და მიწვა ჩვენი მუშაკი სახითა დაღვრემილითა. V დილაადრიან ყანაში წავიდა დაღონებული; ვერ

მიმხვდარიყო პატარა და იყო გაოცებული, თუ რა ჰქნა, რა მოუვიდა, რა დააშავა გუშინა? აქ ანგელოზი პურისა უეცრად გაჩნდა მის წინა და უთხრა: - გახსოვს, თავისთვის ჩიტი რომ ჭიკჭიკებდაო, ქვა რად ესროლე საბრალოს, აბა, რას გიშავებდაო? ამიტომ ვერ გადაგექცა ოქროს თავთავად ყანაო... რასაც გარიგებ, იმ წუთში შენ გავიწყდება განაო?! მუდამ რომ იყო კეთილი, განა რა დაგაკლდებაო? მით ყველას გულსა მოიგებ და ნატვრაც აგიხდებაო.

VI ყმაწვილი ისევ ხელმარჯვედ შეუდგა მუშაობასა. საღამო ჟამზე გრძნობდა ის რაღაცა დაღლილობასა; გაგორდა იქვე ჩეროში და თავი მისდო ხეზედა. უცბად რაღაცამ დასუსხა და წამოვარდა ზეზედა: იქ, სადაც იწვა, ჭინჭველნი გამოსულიყვნენ გარეთა და, რომ გაეგდოთ ბუდიდან, კბენა დაეწყოთ მწარედა. - საძაგლებიო! - სთქვა ბავშვმა: რაღა აქ დაიბუდესა! და ჩააზილა მან წიხლი ჭიანჭველების ბუდესა. შემდეგ ძნა წამოიკიდა, შინ გამოსწია მწყრალადა... ძნა ისევ დარჩენილიყო მაინც იმ ნამჯა-ჩალადა. VII მესამე დილას ყანაში წავიდა ხალისიანად, დაადგა სამუშაოსა დაწყნარებითა, ჭკვიანად, მხოლოდ პაწია ანგელოზს ის ველარსადა ჰხედავდა... გულდაწყვეტილი ამბობდა, როცა თავთავსა ჰკრეფავდა: - ხომ ვიცი, რად არ მოვიდა ის ანგელოზი ქალიო: ჭინჭვლების ბუდე დავწიხლე და იმაზეა მწყრალიო. გათავდა, ჩემი თავთავი ოქროდ არ გადიქცევაო, რადგან ვერ ავასრულევი ანგელოზისა რჩევაო. მაგრამ მე მაინც ვეცდები, ვიყო კეთილის მდომელი, ყველასთვის თავაზიანი, პატიოსანი მშრომელი; შინაურსა და გარეულს გავუწევ მუდამ ძმობასა... - ამ ფიქრით ისევ პატარა დაადგა მუშაობასა და კიდევ თქვა: - რა ვქნა, თუ ნატვრა არ ამიხდებაო, ამ ზამთრისათვის დედაჩემს პური ხომ დასჭირდებაო; რაც მეტი იყოს, ისა სჯობს, უფრო არ დაგვაკლდებაო, და თუ დარჩება ხორბალი, მაინც არ წავგიხდებაო.

VIII როდესაც მორჩა შრომასა, საღამო ჟამი დგებოდა; მოწმენდილ ცაზე მრავალი ვარსკვლავთა ჯარი ჩნდებოდა. მთვარე ჯერ არსად არ იყო, შორს ნისლი ჩაწვა ღრეებში; ძნა უფრო დიდი შეჰკრა დღეს მან, ვიდრე წინა დღეებში. მოდის მუშაკი, მოაქვს ძნა, პატარას გული ტკბილად

სბგერს; იმ სოფელშივე მიმავალს გზაში შემოხვდა დედაბერს. იმასაც კარგად ბლომა ძნა ზურგს ჰქონდა მოკიდებული და ეტყობოდა, რომ ძლივას ზიდავდა მოხუცებული. უთხრა: - ძნა შენთვის მძიმეა, აქ მიბოძევი, დედაო, მე წამოვიღებ, ორივეს გადვაბამ ზედიზედაო. - დმერთიმც გიშველის! მართლაც რომ მეტი არ შემძლიანო; ახლო ვარ, სახლი რომ მოსჩანს, ა, იქა ვდგევარ, ღვთიანო. მთლად მოქანცულმა ბებერმა მისცა ძნა სიხარულითა, მთელი გზა ჩუმის ჩიფჩიფით ბავშვსა ლოცავდა გულითა. სადაც სცხოვრობდა ბებერი, იქ ორნივ მალე მივიდნენ; ბავშვმა გადასცა მოხუცს ძნა და გამოსწია შინისკენ. - შვილო, დაგედოს დედა მტლედ და გენაცვალოს შენაო, არასდროს მოგიტანია თავთავი მაგოდენაო, პირთამდე მოჰყრის ტომარას, შვილო, ეგ დღევანდელი ძნა, - სთქვა ეს თუ არა, პატარას ტვირთი ზურგიდან ჩამოხსნა. ბავშვი მიუჯდა ცეცხლა პირს, საძილედ იჭმუჭნებოდა; იქ საკიდელზე ვახშმისთვის საჭმელი იხარშებოდა... უცბად შეჰკვივლა დედამა, სახლმა მოიღო ზრიალი; ძნა გაუვარდა, თავთავმა დაიწყო რალაც წკრიალი... და დაიძახა: - შვილო, ეს სულ სხვა თავთავი არიო: ისე მძიმეა და ცივი, ვით შემოდგომის ცვარიო. - მართლა, დედილო?! - შეჰყვირა ყმაწვილმაც გაოცებითა და ერთ წუთს მუჭა აივსო ძირს გაშლილ თავთავებითა. ხელს შერჩა სულ სხვა თავთავი და სული ძლივას მოითქვა: ყველა ძნა, ოქროდ ქცეული, მაგარი იყო, როგორც ქვა. პატარა ბავშვის სიხარულს გზა აღარ ჰქონდა სავალი, ორიოდ სიტყვით უამბო დედას თავგადასავალი. - რა გულკეთილი ყოფილა ის ანგელოზი, დედაო, რასაც დამპირდა, მე მასზე ფიქრიც ვერ გამებედაო. რაც ჩავიდინე ურჩობა იმ სამს დღესა და ღამესა, რას ვიფიქრებდი, თუ ჩემთვის კვლავ იფიქრებდა რამესა. მაგრამ მის გული ყოფილა სავსე კაცთ სიყვარულითა... ვმადლობ პაწია ანგელოზს, ვმადლობ სულით და გულითა!

IX - კარგი, კარგიო, - ნელი ხმა მოისმა ჭუჭრუტანაში, - ეს ის ხმა იყო, პირველად რომ გაიგონა ყანაში: - მაგგვარ სიკეთეს, იცოდე, მე ვერ გაგიწევ ხშირადო; გულკეთილობა, პატარავ, გიღირდეს მუდამ ძვირადო.

ყველასთვის კარგი იფიქრე, არვის დაუგო მახეო; ნუ დაივიწყებ დედაბერს, ხვალ უეჭველად ნახეო. იმ ღამეს ცუდად ეძინა პატარას სულ ერთთავადა; ნათქვამი დავალებული გულში თან ჩაჰყვა მწვავადა. ფიქრობდა, აღარ მოიქცეს ის არასოდეს ავადა. ადგა თუ არა, გასწია დედაბრის სანახავადა. ბებერიც წამომდგარიყო რიჟრაჟზე ადრინდულადა, ცივსა და მაგარ თავთავსა სთვლიდა ის მხიარულადა და ბუტბუტებდა ხმდაბლა: - ვიდრე მიდარის დარბო, ჩემთვის თავთავის მოკრეფა საჭირო აღარ არიო. აი, რა მიყო მე ბავშვის ნაზმა სულმა და გრძნობამა: ძნა ოქროდ გადამიქცია მისმა გულკეთილობამა!

1892 წ.